

განსაზღვრულობის პრინციპი სამართლებრივ სახელმწიფოში

1. განსაზღვრულობის პრინციპის არსი და მნიშვნელობა

სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერი აქტის განსაზღვრულობის მოთხოვნის საფუძველს სამართლებრივი უსაფრთხოება ქმნის, რაც თავის მხრივ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მნიშვნელოვანი ელემენტია.¹ სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპი, სამართლის სანდოობასა და განჭვრეტადობასთან ერთად, მის განსაზღვრულობასაც მოითხოვს.² განსაზღვრულობის მაღალი სტანდარტები მოქმედებს იმ აქტების მიმართ, რომლებიც ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს აწესრიგებს.³ რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა ადამიანის უფლებაში, მით უფრო დეტალურად უნდა მოწესრიგდეს მისი გამოყენების საფუძვლები და წესი.⁴

განსაზღვრულობის პრინციპი უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს ისეთ ელემენტებსაც, როგორიცაა კონსტიტუციითა

¹ შეადარე მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614, 616 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-22; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/3/680 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს იუ-სი-ჯი გრინ ფაუერი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II – 8; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

² Arnould A.V., Rechtsstaat, in: Depenheuer O., Grabenwarter, Ch., Verfassungstheorie, Tübingen, 2010, 703 (714).

³ Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Postdam, 2014, 333.

⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/5/675, 681 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-61.

და კანონით შეზღუდვა, ხელისუფლების დანაწილება, ძირითადი უფლებებით შეზღუდვა⁵ და სამართლებრივი დაცვის უფლება.⁶ საკონსტიტუციო სასამართლო, ხედავს რა ამ კავშირს, ხაზს უსვამს განსაზღვრულობის მნიშვნელობას კონსტიტუციისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისათვის და ძირითად უფლებებში თვითნებური ჩარევებისაგან ეფექტიანი სამართლებრივი დაცვისათვის. განსაზღვრულობის პრინციპი პირს იცავს სამართალშემფარდებლის თვითნებობისაგან, რის ნოყიერ ნიადაგსაც ბუნდოვანი და გაუგებარი კანონმდებლობა ქმნის.⁷ სასამართლოს განმარტებით, კანონის შინაარსი აღმასრულებელ ხელისუფლებას არ უნდა აძლევდეს თავისი საქმიანობის ფარგლების დამოუკიდებლად განსაზღვრის საშუალებას. ამით იზრდება ძირითად უფლებებში გადამეტებული ჩარევის რისკი და უფლებამოსილების შეგნებუ-

⁵ Gärditz K. F., Kommentar zum Art. 20 GG, in: Friauf K. H., Höfling W. (Hrsg.), Berliner Kommentar zum Grundgesetz, Band 2, Berlin, seit 2000, Rn. 227. Hofmann H., Kommentar zum Art. 20 GG, in: Schmidt-Bleibtreu B., Klein F. (Begr.), Hofmann H. Hopfau A. (Hrsg.), GG – Kommentar zum Grundgesetz, 12. Auflage, Köln, 2011, Rn. 85. Kunig Ph., Das Rechtsstaatsprinzip, Überlegungen zu seiner Bedeutung für das Verfassungsrecht der Bundesrepublik Deutschland, Tübingen, 1986, 398 ff. Papier H.-J., Gewaltentrennung im Rechtsstaat, in: Merten D. (Hrsg.), Gewaltentrennung im Rechtsstaat, zum 300. Geburtstag von Charles de Montesquieu. Vorträge und Diskussionsbeiträge der 57. Staatswissenschaftlichen Fortbildungstagung 1989 der Hochschule für Verwaltungswissenschaften Speyer, Berlin, 1989, 95 (103). Papier H.-J., Möller J., Das Bestimmtheitsgebot und seine Durchsetzung, Archiv des öffentlichen Rechts, 122 (1997), 177 (179 f.). Zippelius R., Würtenberger Th., Deutsches Staatsrecht. Ein Studienbuch, 32. Auflage, München 2008, 119.

⁶ შეად., Papier, Gewaltentrennung, 95 (103). Papier/Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (180 f.). Robbers G., Kommentar zum Art. 20 GG (Aktualisierung Oktober 2009), in: Dolzer R., Graßhof K., Kahl W., Waldhoff Ch. (Hrsg.), Kommentar zum Bonner Grundgesetz (Bonner Kommentar), Band 5 (Art. 20 – 21), Heidelberg seit 1950, Rn. 2131. Zippelius/Würtenberger, Deutsches Staatsrecht, 119.

⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-29.

ლად ბოროტად გამოყენების ცდუნება.⁸ გარდა ამისა, ირლენდა ხელისუფლების დანაწილებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების კანონით შეზღუდვის პრინციპები, რადგანაც ის ითავსებს კანონმდებლის როლს და არათუ ემორჩილება კანონს, არამედ მასზე მაღლა დგება.

ბუნდოვანი და ორაზროვანი სამართალი მნიშვნელოვნად აფერხებს სამართლებრივი დაცვის უფლების რეალიზებას. ნორმის შინაარსი უნდა იძლეოდეს სასამართლო კონტროლის განხორციელების საკმარის საშუალებას.⁹ განსაზღვრულობის მოთხოვნა განსაკუთრებით მკაცრია, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს ენიჭება ინდივიდის სამართლებრივ პოზიციებში ჩარევის უფლებამოსილება.¹⁰ სასამართლო არ უნდა შემოიფარგლოს ფორმალური მიდგომით ან უარი განაცხადოს ნორმის გამოყენებაზე მისი განუსაზღვრელობის მოტივით. პირიქით, აუცილებელია მაქსიმალური ძალისხმევა თუნდაც ხარვეზიანი ნორმების კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა შესაბამისად განმარტებისათვის. სასამართლო კონტროლი ერთგვარად აბალანსებს სამართლის ნორმების განუსაზღვრელობას.¹¹ საკონსტიტუციო სასამართლო გამოჰყოფს სასამართლო ხელისუფლების როლს კანონთა განსაზღვრულობის უზრუნველყოფაში, რასაც ის ასრულებს ნორმათა განმარტებითა

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-22.

⁹ Badura P., Staatsrecht. Systematische Erläuterung des Grundsatzes für die Bundesrepublik Deutschland, 4, neu bearbeitete Auflage, München 2010, 377. Grzeszick B., Art. 20 und die allgemeine Rechtsstaatlichkeit, in: Maunz Th., Dürig G. (Begr.), Grundgesetz Kommentar, Band III, München seit 1958, 58.

¹⁰ მაგალითად იხ.: BVerfGE 6, 32 (42); 21, 73 (78 ff.); Robbers, GG, Art. 20, Rn. 2175.

¹¹ Gärditz, GG, Art. 20, Rn. 227.

და კანონის გამოყენების სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებით. მოაწესრიგებელი ურთიერთობების ფართო სპექტრის გამო, კანონმდებლობაში შეიძლება არსებობდეს ხარვეზები ან ვაკუუმი, რომელთაც სამართალშემფარდებელი აღმოფხვრის კანონის ინტერპრეტაციისა და კანონის ან/და სამართლის ანალოგიის გამოყენებით. საკონსტიტუციო სასამართლოც აზრით, მხოლოდ ამგვარი „...მიდგომა უზრუნველყოფს სამართლებრივ მოწესრიგებას დაქვემდებარებულ ურთიერთობათა სრულ სპექტრთან მიმართებით მართლმსაჯულების განხორციელების გარანტიას.“¹² ამავდროულად, საერთო სასამართლოების შესაძლებლობებიც არაა შეუზღუდავი. თუ ნორმის შინაარსი ობიექტურად არ იძლევა სათანადო ინტერპრეტაციის საშუალებას, საერთო სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის განხილვა და წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.

2. საკმარისი თუ ოპტიმალური განსაზღვრულობა?

აქტუალურია საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს ნორმის განსაზღვრულობის ხარისხი. ამ კუთხით ზოგადი მასშტაბის დადგენა შეუძლებელია და გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკას.¹³ აუცილებელია იმ ურთიერთობის თავისებურების გათვალისწინება, რასაც აწესრიგებს სადავო ნორმა. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულობის მოთხოვნები შეიძლება განსხვავდებოდეს შესაბამისი ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის ტიპის მიხედვით.¹⁴

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31.

¹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუნეებლო კომპანია

განსაზღვრულობის პრინციპის ზოგადი დეფინიციის ან მასშტაბების არარსებობა არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია მისი ძირითადი სტანდარტების იდენტიფიცირება.¹⁵ პირველ რიგში, სამართლის ნორმის ადრესატებს უნდა ჰქონდეთ მისი მართებულად გაგების შესაძლებლობა. ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი სამართლებრივი მდგომარეობის არსის გარკვევა, ქცევის მისადაგება სამართლის მოთხოვნებთან და მისი სამართლებრივი შედეგების განჭვრეტა.¹⁶

ნორმის შინაარსის მართებულ გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი გამოყენებისა და შეფარდების პროცესში. უმეტესწილად ამ დროს გვევლინება ნორმის განუსაზღვრელობა ძირითადი უფლებების ხელყოფის მიზეზად. საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად აკეთებს აქცენტს იმაზე, რომ განსაზღვრულობის პრინციპი მოითხოვს სამართლებრივი მდგომარეობის ნათლად და გასაგებად ჩამოყალიბებას არა მხოლოდ მოქალაქეებისათვის, არამედ სასამართლოებისა და ადმინისტრაციული ორგანოებისათვის.¹⁷ სა-

რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30.

¹⁵ Loladze B., *Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens*, Postdam, 2014, 334.

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-6; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-36; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის №2/2/516, 542 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30.

¹⁷ შეადარე მაგ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მო-

მართალშემფარდებელი კანონმდებლის მხრიდან საჭიროებს მკაფიო ინსტრუქციებს უფლებებში ჩარევის საფუძვლების, მიზნების, წესისა და ინტენსივობის თაობაზე, რათა თავიდან ავიცილოთ უფლებების თვითნებური შეზღუდვა.¹⁸

ნორმა უნდა იყოს განსაზღვრული საკმარისად და არა ოპტიმალურად ან მაქსიმალურად.¹⁹ ხშირ შემთხვევაში, რეგულირების საგნის თავისებურების გამო, ნორმის ოპტიმალური განსაზღვრულობის მიღწევა ობიექტურად შეუძლებელია. არ არის აუცილებელი, რომ ყველა ნორმა გასაგები იყოს ნებისმიერისათვის. მისი სწორად გაგება უნდა შეეძლოს საშუალო ინტელექტუალური შესაძლებლობის ადამიანს მაინც. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლებლად მიაჩნია საკანონმდებლო რეგულირებისას ყველა ბუნდოვანების *a priori* თავიდან აცილება. ამასთან, ის ხაზს უსვამს, რომ კანონმდებელმა ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს სულ ცოტა ძირითადი იდეა, თავისი ნება და მიზნები მაინც.²⁰ გადამეტებულმა განსაზღვრულობამ ზოგჯერ ნეგატიური შედეგი შეიძლება გამოიღოს, მაგალითად ვერ მოხერხდეს ნორმის ძირითადი უფლებების

ქალაქები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

¹⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614, 616 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-23.

¹⁹ Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 61; Kunig Ph., Der Rechtsstaat, in: Badura P., Dreier H. (Hrsg.), Festschrift 50 Jahre Bundesverfassungsgericht, Zweiter Band – Klärung und Fortbildung des Verfassungsrechts, Tübingen 2001, 421 (440).

²⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-37.

შესაბამისი განმარტება და საფრთხე შეექმნას სამართლიანობის მოთხოვნის დაცვას ცალკეულ შემთხვევებში.²¹

კანონის საკმარისი განსაზღვრულობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ის, რომ მის შინაარსს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ მოსაწესრიგებელი საკითხები ფაქტობრივად არ უნდა გადაჰქონდეს სხვა ორგანოთა დისკრეციის სფეროში.²² ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილება განსაკუთრებით საყურადღებოა საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გარკვეული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგების უფლებამოსილების დელეგირებისას. დელეგირების დამდგენი საკანონმდებლო ნორმების განუსაზღვრელობის პრობლემამ კოვიდის პანდემიის მართვისას მწვავედ იჩინა თავი, რაზეც სათანადო რეაგირება არ ჰქონდა საკონსტიტუციო სასამართლოს.²³ სამწუხაროდ, მასაც მიუძღვის წვლილი პანდემიის მართვის პროცესის მკაფიო და გამართული ჩარჩოს არარსებობაში, რაც არა მხოლოდ განსაზღვრულობის პრინციპს არღვევს, არამედ სამართლებრივი უსაფრთხოების სხვა მოთხოვნებსაც, მაგალითად ნდობის დაცვას, უქმნის საფრთხეს.

განსაზღვრულობის ხარისხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა თანამიმდევრული არ არის. 2007 წლის 26 დეკემბერის №1/3/407 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის

²¹ Gassner U. M., Gesetzgebung und Bestimmtheitsgrundsatz, Zeitschrift für Gesetzgebung, 37 (1996), 37 (41).

²² შეადარე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41; Gärditz, GG, Art. 20, Rn. 227; Hesse K., Bedeutung der Grundrechte, in: Benda E., Maihofer W., Vogel H.-J. (Hrsg.), Handbuch des Verfassungsrechts der Bundesrepublik Deutschland, Teil 1, 2, neu bearbeitete und erweiterte Auflage, Berlin/New York 1995, 127 (155).

²³ დაწვრილებით იხ.: ლოლაძე ბ., ძირითადი უფლებების შეზღუდვის დელეგირების სტანდარტები და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა COVID-19-ის პირობებში, კორკელია კონსტანტინე (რედ.), ადამიანის უფლებათა დაცვა და კოვიდ-19-ის პანდემია, თბილისი 2021, 109-136.

წინააღმდეგ“ სასამართლომ ფაქტობრივად მოითხოვა ნორმის ოპტიმალური განსაზღვრულობა. მან ორიენტირება მოახდინა ნორმის განსაზღვრულობის იმ ხარისხზე, რაც ცალსახად გამორიცხავდა კონსტიტუციური უფლების დარღვევის თუნდაც ერთეულ შემთხვევას.²⁴ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სადავო ნორმა არ შეესაბამებოდა განსაზღვრულობის პრინციპის, რადგანაც მისი გონივრული განმარტების ერთი ვერსია არაკონსტიტუციური იყო.²⁵ ეს მიდგომა პრაქტიკაში რთულად რეალიზებადია, რადგანაც მოითხოვს ნორმის გამოყენების ყველა შესაძლო ვარიანტის ამომწურავ ანალიზს. გარდა ამისა, იზღუდება იმის შესაძლებლობა, რომ სადავო ნორმა დარჩეს ძალაში, მაგრამ განიმარტოს ძირითადი უფლების შესაბამისად.²⁶ აღსანიშნავია, რომ ამავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო ავითარებს საპირისპირო მოსაზრებასაც და აცხადებს: „ნორმის ბუნდოვანება მისი არაკონსტიტუციურობის ზღვარზე არ გადის მანამ, სანამ მისი გონივრული განმარტება იურიდიული მეთოდოლოგიით შესაძლებელია ისე, რომ საკმარისი დამაჯერებლობით ცხადი და თვალსაჩინო გახდეს ამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობების ნამდვილი არსი.“²⁷

2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ კონსტიტუციას არ შეესაბამებოდა ნორმა, რომელიც იძლეოდა ისეთი განმარტების შესაძლებლობა, რაც ძირითად უფ-

²⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

²⁵ იქვე, II-30.

²⁶ Loladze B., *Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens*, Postdam, 2014, 335.

²⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

ლებას არღვევდა.²⁸ 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614, 616 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ მოითხოვა ნორმის განსაზღვრულობის ისეთი მაღალი ხარისხი, „რომ მისი გამოყენების საფუძველზე, ცალსახად გამოირიცხოს კონსტიტუციური უფლების დარღვევის შემთხვევა“.²⁹

განსაზღვრულობის ხარისხთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს მკაცრი მიდგომის ძირითადი საფუძველი სავარაუდოდ არის სკეპტიკური მოლოდინი, რომ საერთო სასამართლოები და სხვა ორგანოები სათანადოდ არ გაითვალისწინებენ სადავო ნორმის მის მიერ შეთავაზებულ კონსტიტუციასთან შესაბამის განმარტებას. სასამართლო მოქმედებს ძირითადი უფლებების დაცვისა და სამომავლოდ მათი დარღვევების პრევენციის ინტერესებში. სადავო ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისი განმარტება და მისი ძალაში დატოვება საკმარისი არ არის იმ პირობებში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს არ გააჩნია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებისა და საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების კონსტიტუციურობის კონტროლის უფლებამოსილება, რაც მეტ გარანტიებს შექმნიდა ადმინისტრაციული ორგანოებისა და საერთო სასამართლოების მიერ ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისი ინტერპრეტაციის გამოყენების კუთხით.

განსაზღვრულობის სტანდარტების გამკაცრებას აქვს ის ნაკლი, რომ არაკონსტიტუციურად ცხადდება და ძალას კარგავს ნორმა, როდესაც შესაძლებელია მისი მოქმედების გაგრძელება კონსტიტუციასთან შესაბამისი განმარტების პირობით. მოვლენათა ამგვარი განვითარების თავიდან აცილება შესაძლებელია სადა-

²⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის №3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43.

²⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/4/614,616 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ“, II-26.

ვო ნორმის კონკრეტული ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის ინსტიტუტის გამოყენებით. ის იძლევა ნორმის კონკრეტული განმარტების, ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლებლობას.³⁰ ამ დროს ნორმა აგრძელებს მოქმედებას იმ ნორმატიული შინაარსის გამოკლებით, რაც არაკონსტიტუციურია. ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ მიეთითება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რაც აადვილებს საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციის აღქმას გადაწყვეტილების ადრესატების მხრიდან.

3. განსაზღვრულობის მოთხოვნები კონკრეტულ შემთხვევებში

განსაზღვრულობის პრინციპის მოთხოვნების სიმკაცრე კონკრეტულ შემთხვევაში დამკიდებელია იმაზე, თუ რა ინტენსივობით ზემოქმედებს ნორმა პირებზე და რა თავისებურებით ხასიათდება მის მიერ მოწესრიგებული ურთიერთობა.³¹ მკაცრ შეფასებას ექვემდებარება ძირითადი უფლების შემზღუდველი ნორმა, განსაკუთრებით – იმ ნაწილში, რომელიც შეზღუდვის წინაპირობებს ადგენს.³² ის უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული როგორც

³⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32.

³¹ BVerfGE 86, 288 (311), 93, 213 (238); 102, 254 (337); 109, 133 (188); 110, 33 (55); Gärditz, GG, Art. 20, Rn. 227; Jarass H. D., Kommentar zum Art. 20 GG, in: Jarass H. D., Pieroth B., Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland. Kommentar, 12. Auflage, München 2012, Rn. 59. Kunig P., Das Rechtsstaatsprinzip, 1986, 421 (440). Papier/Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (187 f.); Robbers, GG, Art. 20, Rn. 2199.

³² BVerfGE 17, 306 (314 f); 41, 251 (266); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 65; Sachs M., Kommentar zum Art. 20 GG, in: Sachs M. (Hrsg.), Grundgesetz Kommentar, 6. Auflage, München 2011, Rn. 128.

შინაარსისა და რეგულირების საგნის, ასევე მიზნისა და მოქმედების მასშტაბების მიხედვით.³³

ძირითადი უფლების შინაარსის კონსტიტუციით დასაშვებ ფარგლებში განსაზღვრისათვის საკონსტიტუციო სასამართლო მოითხოვს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი და განჭვრეტადი ნორმების მიღებას. მას განსაზღვრულობა ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას ერთ-ერთ გადამწყვეტ კრიტერიუმად მიიჩნია.³⁴ საკონსტიტუციო სასამართლო მართებულად აღნიშნავს, რომ ბუნდოვან და ორაზროვან ნორმას არ შეუძლია ძირითად უფლებაში ჩარევის სრულფასოვანი, კონსტიტუციის შესაბამისი მოწესრიგება.³⁵ „ნათელი უნდა იყოს უფლების შეზღუდვის მიზნები, მისი საფუძვლები, ასევე განჭვრეტადი უნდა იყოს ის შედეგებიც, რომლებიც შესაძლებელია უფლებაში ჩარევას მოჰყვეს.“³⁶

ძირითად უფლებაში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს ფარულადაც. ამგვარი შემთხვევების მომწესრიგებელმა ნორმამ განსაზღვრულობის განსაკუთრებით მაღალი სტანდარტი უნდა დააკმაყოფილოს.³⁷ საკონსტიტუციო სასამართლო გამორჩეულად მკაცრად მიუდგა იმ სადავო ნორმის განსაზღვრულობის შეფასებას, რომელიც ითვალისწინებდა სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკუ-

³³ BVerfGE 8, 274 (325); 80, 137 (161); Hofmann, GG, Art. 20, Rn. 85; Papier/Möller, Das Bestimmtheitsgebot, 177 (188); Sommermann K.-P., Kommentar zum Art. 20 GG, in: Mangoldt H. v. (Begr.), Klein F., Starck Ch. (Hrsg.), Kommentar zum Grundgesetz, Band 2, 6., vollständig neu bearbeitete Auflage, München 2010, Rn. 291.

³⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-11.

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41.

³⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

³⁷ BVerfGE 100, 313 (359 f., 372); 110, 33 (53 f.); Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 65.

რი საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლებაში ფარულ ჩარევას. მან ამგვარი მიდგომა რამოდენიმე მიზეზით ახსნა. პირველ რიგში სასამართლომ გამოჰყო უფლების შეზღუდვის ფარული ბუნება. გარდა ამისა, პირი არ მონაწილეობდა იმ სასამართლო პროცესში, სადაც წყდებოდა მის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების აუცილებლობის საკითხი და მოკლებული იყო შესაძლებლობას, თავიდან აეცილებინა სახელმწიფოს გადამეტებული ჩარევა მის უფლებაში. გართულებული იყო მესამე პირთა ინტერესების დაცვა, რომლებიც ფარული კონტროლის ობიექტები ხდებოდნენ იმ პირებთან კომუნიკაციისას, რომელთა მიმართაც ხორციელდებოდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. საკონსტიტუციო სასამართლომ მოიშველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიცია, საქმეზე „კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ“, ³⁸ რომლის მიხედვითაც მოსმენები და სატელეფონო საუბრების კონტროლის სხვა ფორმები, როგორც პირადი ცხოვრებისა და კორესპონდენციის თავისუფლებაში სერიოზული ჩარევა, უნდა ეფუძნებოდნენ განსაკუთრებით ზუსტ კანონს. ³⁹ მოგვიანებით, 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების კომპეტენციის მომწესრიგებელი ნორმების განსაზღვრულობას ხარისხი „...არ უნდა ქმნიდეს მისი არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შედეგად ადამიანის უფლების დარღვევის თუნდაც მცირე საფრთხეს.“ ⁴⁰

³⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1998 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, „კოპი შვეიცარიის წინააღმდეგ“, პარა. 72.

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-13.

⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის №2/1/484 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა

განსაზღვრულობის მაღალი სტანდარტი მოქმედებს ასევე სისხლის და საპოლიციო სამართლის ნორმების მიმართ, რაც იმითაა განპირობებული, რომ მათი გამოყენება ხშირად გულისხმობს მძიმე ჩარევას ადამიანის უფლებებში. საკონსტიტუციო სასამართლო პოზიციით, საპოლიციო ფუნქციის დამდგენი ნორმები, რომლებიც ძირითადი უფლების შეზღუდვას იწვევს, განსაზღვრულობის განსაკუთრებით მკაცრ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს და მკაფიოდ იყოს გაწერილი პოლიციის უფლებამოსილებები, მათი საფუძვლები და განხორციელების წინაპირობები.⁴¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლო აცხადებს, რომ ისინი „...უნდა იყოს მაქსიმალურად ცალსახა და გასაგები, რათა არ იძლეოდეს მათი ორაზროვანი განმარტების შესაძლებლობას.“⁴² 2016 წლის 18 აპრილის №2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლომ კვლავ ხაზი გაუსვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმათა განსაზღვრულობის მკაცრ სტანდარტს. მის პოზიციით, ამ ნორმათა განსაზღვრულობის ხარისხი უნდა გამორიცხავდეს „...სამართალშემფარდებლის მხრიდან მანიპულირების და თვითნებობის შესაძლებლობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლის სამართალწარმოებაში მონაწილე პირთა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად.“⁴³

იურისტთა ასოციაცია” და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10.

⁴¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-25.

⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის №2/3/182, 185, 191 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 1.

⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის №2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – თე-

განსაზღვრულობის მოთხოვნები, კერძო სამართლის სფეროში, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შედარებით მსუბუქია. კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა ავტონომიურობის ხარისხი გაცილებით მაღალია სხვა სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებთან შედარებით. ეს ურთიერთობები ხასიათდება მრავალფეროვნებით და მათი რეგულირება მოითხოვს ნორმათა მოქნილობის მაღალ ხარისხს. საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლებლად მიაჩნია სახელმწიფოს მიერ იმ ურთიერთობების დეტალურად მოწესიგება, რომელთა შინაარსისა და ფარგლების განსაზღვრა კერძო პირების გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მისი აზრით, „...ხისტი მიდგომა მნიშვნელოვნად გაართულებდა სახელშეკრულებო ურთიერთობებს და მრავალმხრივ შეაფერხებდა საზოგადოების განვითარებას.“⁴⁴

4. განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებები და ზოგადი დათქმები

კანონმდებლობა ხშირად იყენებს განუსაზღვრელ სამართლებრივ ცნებებსა⁴⁵ და ზოგად დათქმებს.⁴⁶ ისინი, ზოგადი შინაარსიდან გამომდინარე, იძლევა ფართო სივრცეს განმარტებისათვის. ერთი მხრივ, სამართალს უნდა ჰქონდეს დინამიურად ცვალებადი ურთიერთობების მოწესრიგების შესაძლებლობა. მეორე მხრივ, სამარ-

იმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

⁴⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუნეებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-47.

⁴⁵ მაგალითად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურე ვალდებულია თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება განახორციელოს „საჯარო ინტერესების“ დაცვის საფუძველზე.

⁴⁶ მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულია შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი „განსაკუთრებულ გულისხმიერებას“.

თლის ბუნოდვანებისა და ორაზროვნების გამო არ უნდა შეიქმნას სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან თვითნებობის მომეტებული საფრთხე. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულობის პრინციპის სწორად გამოყენებას განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებებისა და ზოგადი დათქმების მიმართ დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო ბალანსის დაცვისა და რისკების პრევენციისათვის.

განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნებებისა და ზოგადი დათქმების გამოყენება *a priori* არ ეწინააღმდეგება განსაზღვრულობის პრინციპს. ეს შეეხება სამართლის ნებისმიერ დარგს, მათ შორის სისხლის სამართალსაც.⁴⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს ზოგადი ნორმების არსებობა აუცილებლად მიაჩნია მოქნილი სამოქალაქოსამართლებრივი წესრიგის არსებობისათვის.⁴⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, რაც ითვალისწინებდა დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავებას მისი მიმალვის შესაძლებლობის არსებობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებელი ვერ დაადგენდა გონივრული ეჭვის წარმოქმნის შემთხვევებისა და იმ მონაცემების ამომწურავ ჩამონათვალს, რაც შეიძლება საფუძვლად დადებოდა მას. მთავარი იყო კანონით ზოგადი კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა კონკრეტულ შემთხვევაში იმის გარკვევა, რამდენად ქმნიდა ესა თუ ის მონაცემი გონივრული ეჭვის საფუძველს.⁴⁹ საკონსტიტუციო სასამართლო მოქნილი ტერმინების გამოყენების საჭიროებას ხედავს საპოლიციო სამართალშიც, რათა

⁴⁷ შეადარე მაგ.: BVerfGE 92, 1 (12); 96, 68 (97 f.); Robbers, GG, Rn. 2146, 2204.

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-47.

⁴⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-46.

რეგულაცია იყოს პრაქტიკულად გამოყენებადი და „...ნორმა მოერგოს სხვადასხვა წინასწარ განუსაზღვრელ გარემოებებს.“⁵⁰

სამართლებრივი ცნებებისა და ზოგადი დათქმების შემთხვევაში განსაზღვრულობის პრინციპი დაცულია, თუ მათი დაზუსტება და სანდო ინტერპრეტაცია შესაძლებელია განმარტების ტრადიციული მეთოდების გამოყენებით.⁵¹ საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის ბუნდოვანება თავისთავად არ ნიშნავს მის არაკონსტიტუციურობას, თუ ის „განმარტების სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებით იძლევა მისი შინაარსის განსაზღვრის შესაძლებლობას.“⁵² სასამართლო სამართლებრივი ურთიერთობის ზოგადი ნორმით მოწესრიგებას და მხოლოდ მის ბუნდოვანებაზე აპელირებას არ თვლის სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის თვითკმარ საფუძვლად.⁵³

საკონსტიტუციო სასამართლო ნორმათშემფარდებლისაგან მოითხოვს განმარტების ისეთი მეთოდის გამოყენებას, „...რომელიც ყველაზე ნათლად და ობიექტურად ხსნის როგორც ნორმის არსს, ისე მისი მოქმედების ფარგლებს.“⁵⁴ ნორმა განუსაზღვრელად შეიძ-

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-31.

⁵¹ BVerfGE 90, 1 (16 f.); 92, 365 (409 f.); 117, 71 (111 f.); 118, 168 (188); Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Postdam 2014, 338; Robbers, GG, Art. 20, Rn. 2204; Sachs, GG, Art. 20, Rn. 127.

⁵² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის №2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-17, 18.

⁵³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუნყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-51, 52.

⁵⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-18.

ლება ჩაითვალოს, თუ მიუხედავად განმარტების ყველა მეთოდის მოსინჯვისა, გაურკვეველია მისი ნამდვილი შინაარსი, ასევე როდესაც არსი გასაგებია, თუმცა გაუგებარია ნორმის მოქმედების ფარგლები.⁵⁵

საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიუღებელია, როდესაც ნორმის ზოგადი ფორმულირება სამართალშეფარდების პროცესში უკონტროლო გამოყენების საშუალებას იძლევა და მისი შინაარსის გაგება მთლიანად არის დამოკიდებული სამართალშემფარდებლის მიხედულებაზე.⁵⁶ სასამართლოს პოზიციით, ზოგადი ტერმინების გამოყენებისას კანონმდებლის ნება უნდა იყოს საკმარისად მკაფიო, „...რათა გამოირიცხოს სამართალშემფარდებლის მიერ მისი არასწორი ინტერპრეტაცია და თვითნებობის ალბათობა, რისი კანონზომიერი შედეგიც იქნება უფლების დარღვევა.“⁵⁷

5. სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ადმინისტრაციული აქტების განსაზღვრულობა

განსაზღვრულობის პრინიპი, ნორმების გარდა, ინდივიდუალურ-სამართლებრივ ადმინისტრაციულ აქტებზეც ვრცელდება.⁵⁸ საკმარისად განსაზღვრული და შემოფარგლული უნდა იყოს როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნორმატიული საფუძველი,⁵⁹ ასევე აქტის შინაარსი.⁶⁰ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ინდივიდუალური აქტების განსაზღვრულობის ხარისხი გამკაცრებულ მოთხოვნების უნდა

⁵⁵ იქვე, II-19.

⁵⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 16 თებერვლის №1/1/186 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე გიორგი წაქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთაიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26.

⁵⁸ შეადარე მაგ.: Robbers, GG, Art. 20, Rn. 2137.

⁵⁹ Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 67; Robbers, GG, Art. 20, Rn. 2157 ff.

⁶⁰ Jarass, GG, Art. 20, Rn. 61.

აკმაყოფილებდეს, რადგანაც ისინი შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს და წარმოადგენს აღსრულების საფუძველს.⁶¹ ეს მიდგომა გამართლებულია, რადგანაც ძირითად უფლებებში უშუალო ჩარევა, როგორც წესი, სწორედ ინდივიდუალური აქტებით ხდება.⁶²

განსაზღვრული უნდა იყოს და სამართლებრივი მდგომარეობის მკაფიოდ აღქმის შესაძლებლობას იძლეოდეს სასამართლოების გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით – მათი სარეზოლუციო ნაწილი.⁶³ ამასთანავე, თუ სამოტივაციო ნაწილი და გადაწყვეტილების **ratio decidendi** ბუნდოვნადაა ჩამყალიბებული, იზრდება სასამართლო გადაწყვეტილების არასწორად გაგებისა და აღსრულების საფრთხე. მაგალითად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, იგი უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს ის და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი.⁶⁴ თუ შესაბამისი გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მკაფიოდ არ მიეთითა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რა გარემოებებია გამოსაკვლევი და შესაფასებელი, იქმნება იმის დიდი ალბათობა, რომ გადაწყვეტილების აღსრულება სათანადოდ არ მოხდეს და დავა კვლავ სასამართლოში დაბრუნდეს. ეს აზიანებს მხარეთა ინტერესებს და ზრდის სასამართლო ხელისუფლების გადატირთვის ხარისხს.

სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს კანონის ფარგლებში აქვთ თავისუფალი მოქმედების სფერო.⁶⁵ ეს შესაძლებლობა პარალელურად გაზრდილ პასუხისმგებლობასაც გუ-

⁶¹ Grzeszick, GG, Art. 20 (Die allgemeine Rechtsstaatlichkeit), Rn. 68; Robbers, GG, Art. 20, Rn. 2208; Sachs, GG, Art. 20, Rn. 130.

⁶² Loladze B., Das Rechtsstaatsprinzip in der Verfassung Georgiens und in der Rechtsprechung des Verfassungsgerichts Georgiens, Postdam, 2014, 341.

⁶³ იქვე.

⁶⁴ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

⁶⁵ Robbers, GG, Art. 20, Rn. 2185.

ლისხმობს. მაგალითად, სასამართლოს ფართო დისკრეცია აქვს განუსაზღვრელი სამართლებრივი ცნების ინტერპრეტაციისას, თუმცა ეს განმარტება გაცილებით ნათელი და გასაგები უნდა იყოს, ვიდრე შესაბამისი ცნების დამდგენი ნორმა.⁶⁶

საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობები სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ადმინისტრაციული აქტების განსაზღვრულობის კონტროლის კუთხით შეზღუდულია. მიუხედავად ამისა პრაქტიკაში მაინც ვხვდებით მის მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოს პოზიციით, საერთო სასამართლომ ისე უნდა განმარტოს ნორმა, რომ პირისათვის ნათლად იყოს გასაგები, თუ რომელი ქმედების გამო დაეკისრება მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.⁶⁷

6. დასკვნა

სამართლებრივი სახელმწიფო თავის მოქალაქეებს გასაგები უნდა ესაუბრებოდეს. ერთი მხრივ, ის მოითხოვს კანონების მოთხოვნათა შესრულებას, თუმცა მეორე მხრივ, ნომოკრატიული იდეის განხორციელების წინაპირობაა, რომ სამართალი განსაზღვრული და გასაგები იყოს.⁶⁸ შეიძლება ითქვას, რომ ეს გარემოება კარგად აქვს გათვითცნობიერებული საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც, მიუხედავად გარკვეული ხარვეზებისა, დიდ ყურადღებას უთმობს განსაზღვრულობის პრინციპს და ძირითადად სწორად ესმის მისი არსი. ამასთანავე, სახელმწიფო აქტების განსაზღვრულობაზე ზედამხედველობა მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს პრეროგატივა არ არის. ამ საკითხს სათანადო ყურადღება

⁶⁶ Kunig P., Das Rechtsstaatsprinzip, 1986, 396. Papier H., Möller J., Das Bestimmtheitsgebot, 1997, (192).

⁶⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-38.

⁶⁸ მაგ.: Kunig P., Das Rechtsstaatsprinzip, 1986, 396. Papier H., Möller J., Das Bestimmtheitsgebot, 1997, 177 (181 f.).

საიუბილეო კრებული

უნდა მიაქციოს როგორც კანონმდებელმა, ასევე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და საერთო სასამართლოებმა.